ბრძანება:№44. 442421132
თარიღი:29/07/2024

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოშიევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა და პირობების, განაცხადის ფორმისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 11 ივლისის №44. 442419383 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტი „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოშიევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა და პირობების, განაცხადის ფორმისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 11 ივლისის №44. 442419383 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები. კერძოდ; ბრძანების მე-5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5. შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის სოციალური აქტივიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების

ჩართულობის და დასაქმების შესაძლებლობების შესანარჩუნებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/. დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის“ დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ/. პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ე/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ/. ვალერიან სილაგაძე - - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;

ზ/. გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური ხელმძღვანელი - კომისიის წევრი (ხმის უფლების გარეშე);

თ/. ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ გუნდის ლიდერი - კომისიის წევრი“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.k utaisi.gov.ge/.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი